

პროგრამა

სემინარი თემაზე

“საჯარო სამსახურის რეფორმა საქართველოში”

თბილისი, 2009 წლის 10-11 ნოემბერი

ორგანიზატორები

- საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი
- სიგმა (www.sigmaweb.org)

მთავარი მიზნები

მთავარი ელემენტებისა და გამოწვევების განხილვა პროფესიონალური საჯარო სამსახურის დანერგვისათვის ევრო კავშირისა და OECD -ის ქვეყნებში და ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება საქართველოს საჯარო სამსახურის რეფორმისთვის.

განხილვა ჩატარდება ორდღიანი ფორმატით. ერთი სასემინარო დღე მოახდენს ფოკუსირებას ტექნიკურ საკითხებზე, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიული საჯარო სამსახურის სისტემის შექმნას. მეორე სასემინარო დღე მოიცავს მრგვალ მაგიდას არსებული საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტზე.

მთავარი თემები

- პროფესიული საჯარო სამსახურის მთავარი პრინციპები
- ადამიანური რესურსების მართვის საშუალებები საჯარო სამსახურში
- საჯარო სამსახურის სისტემის მართვა
- საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტის ანალიზი

მოწვეული სტუმრები სემინარის პირველი დღისათვის

- პარლამენტის წევრები და პოლიტიკოსები

მოწვეული სტუმრები სემინარის მეორე დღისათვის

- უფროსი მენეჯერები და ადამიანური რესურსების მმართველები სამინისტროებსა და სახელმწიფო ორგანოებში.

პროგრამა

10 ნოემბერი, სამშაბათი

მრგვალი მაგიდა საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტზე

12'00-12'05	საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი წერეთლის სიტყვა
12'05-12'10	მიმართვა მონაწილეებისადმი, ბატონი ფილიპ ბერნარდი, ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში
12'10-12'15	SIGMA- წარდგენა, OECD-ისა და ევროკავშირის საერთო ინიციატივა, რომელიც ძირითადად ფინანსდება ევროკავშირის მიერ. ბატონი ფრანცისკო კარდონა, მთავარი ადმინისტრატორი, SIGMA/OECD
12'15-12'45	საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტის პრეზენტაცია <u>მომხსენებელი:</u> ქალბატონი ხათუნა გოგორიშვილი, საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე
12'45- 13'00	კითხვები და პასუხები
13'00-13'30	შესვენება
13'30-14'00	კომენტარები საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტზე <u>მომხსენებელი:</u> ბატონი ირაკლი კოტეტიშვილი, საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი
14'00-14'30	კითხვები და პასუხები
14'30-15'00	საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტის ანალიზი. <u>მომხსენებელი:</u> პროფესორი ჯერარდ მარსო, პანთეონ-სორბონის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
15'00-15'30	კითხვა-პასუხი
15'30-16'30	ლანჩი
16'30-17'00	საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტის ანალიზი <u>მომხსენებელი:</u> პროფესორი ჰანს-აჩიმ როლი, ფედერალური კანცელარიის ყოფილი უფროსი, გერმანია
17'00-17'30	კითხვა-პასუხი
17'30-17'45	შეჯამება

	ბატონი ფრანცისკო კარდონა, მთავარი ადმინისტრატორი, SIGMA/OECD
17'45-18'00	საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის დასკვნითი სიტყვა

11 ნოემბერი, ოთხშაბათი

9'30-10'00	რეგისტრაცია
10'00-10'30	გახსნითი სიტყვა: "საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემის გამოწვევები" <u>მომხსენებელი:</u> ქალბატონი ხათუნა გოგორიშვილი, საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე
10'30-10'45	კითხვა-პასუხი
10'45-11'15	"საჯარო სამსახურის მოდერნიზება და პროფესიონალიზაცია: მთავარი ელემენტები და პრინციპები" <u>მომხსენებელი:</u> ბატონი ფრანცისკო კარდონა, OECD/SIGMA
11'15-11'30	კითხვა-პასუხი
11'30-12'00	შესვენება
12'00- 12'30	კადრების შერჩევა, დაწინაურება და მობილობა საჯარო სამსახურში <u>მომხსენებელი:</u> ბატონი ხულიო ნაბაისი, OECD/SIGMA
12'30-12'45	კითხვა-პასუხი
12'45-13'15	ანაზღაურების სისტემა საჯარო სამსახურში: სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, რეფორმის მიზნები და სტრატეგიები <u>მომხსენებელი:</u> ბატონი ჰეინრიხ ტრაუმიულერი, ფინანსთა სამინისტროს მრჩეველი, ავსტრია
13'15-13'30	კითხვა-პასუხი

13'30- 15'00	ლანჩი
15'00-15'30	ადამიანური რესურსების მართვის ზოგიერთი საშუალება საჯარო სამსახურში: განვითარება, მოტივაცია და საქმიანობის შეფასება <u>მომხსენებელი:</u> ბატონი ადერიტო ალან სანჩესი, საფრანგეთი
15'30-15'45	კითხვა-პასუხი
15'45-16'15	სამართლიანობა და მენეჯერული უფლებამოსილება ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში საჯარო სამსახურში <u>მომხსენებელი:</u> ბატონი ბერნარდ ბურხოლცი, გერმანია, სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი ხელმძღვანელი და მოქმედი მოსამართლე ფრანკფურტის მთავარ ადმინისტრაციულ სასამართლოში.
16'15-16'30	კითხვა-პასუხი
16'30-16'45	შესვენება
16'45-17'15	ეთიკური ღირებულებებისა და პასუხისმგებლობის ხელშეწყობა საჯარო სამსახურში <u>მომხსენებელი:</u> ბატონი ედუარდ გიუროფი, ყოფილი მთავარი პროკურორი, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია, გერმანია
17'15-17'30	კითხვა-პასუხი
17'30-18'00	“საჯარო სამსახურის მართვის სტრუქტურები” <u>მომხსენებელი:</u> ბატონი ფრანცისკო კარდონა, OECD/ SIGMA
18'00-18'15	კითხვა-პასუხი
18'15-18'30	ქალბატონი ხათუნა გოგორიშვილის, საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თამჯდომარის დასკვნითი სიტყვა

მომხსენებელთა ბიოგრაფიული მონაცემები

ბერნარდ ბურხოლცი

ბატონი ბერნარდ ბურხოლცი არის სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი, Land Hesse, ამჟამად ფრანკფურტის მთავარი ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლე. მას აქვს გოეთეს უნივერსიტეტის ხარისხი სამართალში, ფრანკფურტი, გერმანია.

ფრანცისკო კარდონა

ბატონი კარდონა არის სიგმას უფროსი მრჩეველი საჯარო სამსახურის რეფორმის საკითხებში, აგრევე საჯარო სამსახურის კანონმდებლობის, მთავარი ადმინისტრაციული სამართლის ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში. სიგმასთან შეერთებამდე, 1998 წელს ბატონი კარდონა, რომელიც არის ეროვნებით ესპანელი, იყო ადვოკატი სამრეწველო ურთიერთობების საკითხებში ხოლო შემდგომში, მას შემდეგ რაც გახდა საჯარო მოხელე, იგი გახდა ადამიანური რესურსების ორგანიზაციული მმართველი ესპანეთის საჯარო საავადმყოფოში და პროვინციულ ორგანოში მუნიციპალური მმართველი, და სახელმწიფო მართვის პროფესორი მადრიდის სახელმწიფო მართვის ეროვნულ ინსტიტუტში. ბატონი კარდონას აქვს ვალენსიის უნივერსიტეტის დიპლომი სამართალში და მაგისტრის ხარისხი ორგანიზაციულ სოციოლოგიაში (ვალენსიის უნივერსიტეტი), მთავარი საწარმოს მენეჯმენტი (IESE ბარსელონა) და საჯარო მენეჯმენტი (ESADE ბარსელონა და IUOG მადრიდი). იგი შეუერთდა ფულბრაიტის სტიპენდიას როგორც მკვლევარი ქალაქის მართვის საკითხში კალიფორნიაში, აშშ. ბატონმა კარდონამ გააატარა ერთი წელი (1997) ლიტვაში, საჯარო სამსახურის სისტემის დიზაინის დახმარებაში.

ედუარდ გიუროფი

ბატონი გიუროფი არის იუსტიციის სამინისტროს ყოფილი მთავარი პროკურორი, ჩრდილოეთ რაინი-ვესტფალია, გერმანია და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი. ამჟამად ის მოღვაწეობს როგორც მთავარი პროკურორი ეკონომიურ კრიმინალსა და EULEX-ის სერიოზული შემთხვევების წინააღმდეგ კოსოვოში. ბატონი გიუროფი ფლობს ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტის სამართლის ხარისხს, ბონი, გერმანია.

ჟერარდ მარსო

ბატონი მარსო არის პროფესორი სამართალის საკითხებში პარიზის სორბონის უნივერსიტეტში და საპატიო პროფესორი ბირმინჰემის უნივერსიტეტში, საჯარო სამსახურის სკოლა. ადრე მას ეკავა პროფესორის თანამდებობები ლილის უნივერსიტეტში და CRAPS-ის დირექტორის თანამდებობა (კვლევის ცენტრი CRAPS). ის აგრეთვე ასწავლიდა უნივერსიტეტებში იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში არგენტინასა და კოლუმბიაში.

ხულიო ნაბაისი

ბატონი ნაბაისი არის სიგმას მთავარი მრჩეველი საჯარო სამსახურის რეფორმის, ადმინისტრაციული სამართლის, ადმინისტრაციული მოდერნიზაციის და ერთიანობის სისტემის საკითხებში. მანამ, სანამ სიგმას შეუერთდებოდა, ბატონი ნაბაისი იყო პორტუგალიის პარლამენტის გენერალური მდივნის მოადგილე და საჯარო სამსახურის მთავარი დირექტორი. ბატონი ნაბაისი ფლობს ლისაბონის უნივერსიტეტის ხარისხს სამართალში, პორტუგალია.

ჰანს-აჩიმ როლი

ბატონი როლი არის იურისტი და საერთაშორისო კონსულტანტი საკონსტიტუციო, საპარლამენტო და ადმინისტრაციულ სამართალში, რომელიც სპეციალიზირებულია საჯარო სამსახურის სამართლის საკითხებში. ადრე მას ეკავა თანამდებობა მთავარი დირექტორისა ფეფერალურ კანცელარიაში, გერმანიაში, (პრემიერ-მინისტრის ოფისი). ბატონი როლი ფლობს კიელის უნივერსიტეტის ხარისხს სამართალში, გერმანია.

ადერიტო ალაინ სანჩესი

ბატონი სანჩესი არის საერთაშორისო კონსულტანტი, რომელიც მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორცაა საჯარო სამსახურის რეფორმა, ადამიანური რესურსები და ინსტიტუციური განვითარება და კარგი მენეჯმენტი. იგი ფლობს ნიცის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს სოციოლოგიურ მეცნიერებებში, საფრანგეთი, სადაც იგი ხელმძღვანელობდა ფსიქოლოგიის დეპარტამენტს. ბატონმა სანჩესმა გამოწვრთნა დიდი რაოდენობით პოლიტოლოგები, სახელმწიფო მოხელეები და დაეხმარა რამდენიმე უცხოურ უნივერსიტეტს, ეროვნულ მართვის სკოლებს და საერთაშორისო ინსტიტუტებს (მსოფლიო ბანკის ინსტიტუტი, ILO , ITC). მან კოორდინირება გაუწია მთელ რიგ მისიებს, რომლებიც დაკავშირებული იყო საჯარო სამსახურის მოდერნიზებასთან (მსოფლიო ბანკისთვის, EC-ისთვის, ILO-სთვის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოებისათვის), მან მიიღო ფართო პროფესიული საველე გამოცდილება 300-ზე მეტ მისიაში 40-ზე მეტ ქვეყანაში.

ჰეინრიხ ტრაუმიულერი

ბატონი ტრაუმიულერი არის ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს მრჩეველი. ადრე მას ეკავა ისეთი თანამდებობები როგორცაა ფინანსთა სამინისტროს პერსონალის განყოფილების უფროსი და ფინანსური სამარკეტო უფლებამოსილების საბჭოს წევრი. იგი ფლობს გრაციის უნივერსიტეტის სამართლის ხარისხს.